ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 2 (1376)

4-11 თებერვალი, 1994 წ.

რას უნდა ველოდოთ საქართველოში ელცინის ვიზიტიდან?

ერთი პატარა ამბავი გვინდა გიამბოთ რუსეთის იმპერატორების საქართველოში სტუმრობის ისტორიიდან.

მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული, რუსეთის ყველა იმპერატორს, ლენინისა და ალბათ კიდევ ვიღაცის გამოკლებით, საქართველო მონახულებული ჰყავს.

ერთხელ მისი უდიდებულესობა იმპერატორი ალექსანდრე II-ნიკოლაევიჩიც ჩამობრძანებულა.

საქართველო დიდხანს ემზადებოდა მაღალი სტუმრის მისაღებად. საზეიმოდ გამოწყობილი თავადაზნაურობა — მუნდირებით დამშვენებულნი.

მოშილიფებული ბანოვანნი.

მდიდრული ეტლები.

მდიდრული სუფრები.

იმპერატორი ფოთში მიიღეს.

სმა, ჭირითი და ლაღობა.

ქართული სტუმართმოყვარეობის წესი და ადათი თავის ზენიტში.

იმპერატორი ქვეშევრდომთა დიდებული დახვედრით გახარებული და გალაღებული.

ფოთელებმა ისარგებლეს მათ ქალაქში უმაღლესი პირის სტუმრობით და ალექსანდრეს ფოთში პორტის გახსნა სთხოვეს.

იმ ღამეს ბახუსთან კიდევ ერთხელ ფიცვერცხლნაჭამი ალექსანდრ ნიკოლაევიჩი საიმპერატორო რონოდაში ჩაჯდა და თბილისისკენ, აღმოსავლეთ საქართველოს გუბერნიის დედაქალაქისაკენ გამოემართა.

გზა მაშინ სურამზე გადმოდიოდა.

სურამის საზოგადოება, ბაქანზე შეკრებილი, მოუთმენლად ელოდა დიდი სტუმრის გამოჩენას.

აი, ისიც. ნანატრი რონოდა ღვთივკურთხეული იმპერატორისა. ახლადგამოღვიძებული, ნაბახუსევი ალექსანდრე ფარდას გადასწევს, შეკრებილ ხალხს რომ დაინახავს, სარკმელს გამოაღებს და სურამელებს კმაყოფილი სახით მიმართავს (თავი ისევ ფოთში ეგონა) — ბუდეტ ვამ პორტ! ბუდეტ ვამ პორტ!

სურამში ერთი პატარა მდინარე ჩამოდის, სურამულას ეძახიან, ისე პატარაა, გემი კი არა, შიგ ბავშვი ვერ იჭყუმპალავებს...

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდნენ სახეზე იმედის ღიმილშეყინული მასპინძლები.

რას უნდა ველოდოთ ბორის ნიკალაევიჩის საქართველოში ვიზიტისაგან? აი კითხვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის თავზე, რადგან საქართველოს ბედისწერას 200 წლის შემდეგაც ისევ იმ ქვეყნის მმართველი წყვეტს...

... გვეცლება ქართლი თვალდახელშუა

მერაბ მაისურაძე

დღეს ცხინვალის რეგიონის ფაქტიური გამგებელნი, საკუთარ თავს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტსა და მთავრობას რომ უწოდებენ, არ მალავენ საქართველოს ხელისუფლებაში იმ ძალების არსებობას, რომლებიც თითქოს არ უგულებელყოფენ ოსთა მოთხოვნას, მზად არიან კომპრომისისათვის, თვით ოსურ რესპუბლიკამდეც კი საქართველოს შემადგენლობაში. ამ შინაარსის გამომხატველი სტატიები და ტელეგადაცემები არცთუ იშვიათად გეხვდება ე. წ. ოსების რესპუბლიკაში. რა კატეგორიის ან რა რანგის არიან საქართველოს რესპუბლიკის ეს ხელმძღვანელები ან რა კონტაქტები აქვთ მათთან ოსებს, ეს უკანასკნელნი არ ახუსტებენ.

საქმეში ჩაუხედავმა, გულუბრყვილო ადამიანმა, ეს შეიძლება მტრის მორიგ პროვოკაციად მიიჩნიოს, რომელსაც ჩვენი, ისედაც დაქსაქსული ერის კიდევ უფრო დაპირისპირება განუზრახავს, მაგრამ საუბედუროდ, ეს ასე არ არის. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც რუსეთზეა აღებული, აუცილებლად გაითვალისწინებს ამ ქვეყნის სურვილს ჰყავდეს საქართველოში ძლიერი მეხუთე კოლონა, რომლის საშუალებითაც აღუდგება წინ იმ იდეებს, რომლებიც 1988 წლის ნოემბრიდან ავაფრიალეთ ქართველებმა და რომელთა დასამარებაში ოსებს ლომის წილი მიუძღვით. აზრი — ნებისმიერი საშუალებით დამთავრდეს ომები მარტო ხელისუფლების კულუარებში არ დომინირებს. გადაღლილი მოსახლეობის დიდი ნაწილი მზადაა ხელი აუწიოს ისტორიულ შიდა ქართლში ოსთა ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმონაქმნს და ამით მოპოვებულ მშვიდობას სამუდამოდ გადააყოლოს საქართველოს ეს კუთხე. სასოწარკვეთილებამდე მისულ ერში ცოტა ვისმეს თუ გაახსენდება, რომ ქართული კულტურის აკვანი აქაც, ამ მიწაზე დაირწა და თუ უკანასკნელი წლების მანძილზე აქ მისი მადლის ნათება ჩაინავლა, ამაში

დასასრული მე 8-ე გვერდზე

ეშმაკთან ცეკვა

(დასავლეთის პრესა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე)

სოხუმის ბრძოლის დღეებიდან მოყოლებული საქართველო მეტ-ნაკლებად დასავლეთის საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების არეში რჩება. უნდა ითქვას, რომ თავიდანვე არავის აღუქვია მოვლენები ჩვენში როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. ყველა სერიოზული მიმომხილველი საქართველოს ტრაგედიაში პირველ რიგში რუსეთის ფაქტორს ხედავდა. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დასავლეთის უჩვეულოდ დიდი ინტერესი, ვინაიდან, მისი აზრით, საქართველოში რუსეთის აგრესიული პოლიტიკური დოქტრინა ყველაზე გაშიშვლებულად გამოჩნდა.

ამერიკის საგარეო პოლიტიკური ისტებლიშმენტის ჟურნალი „ფორინ ფოლისი“ წერს: კიდევაც რომ დავივიწყოთ, რომ აფხაზი მებრძოლები უკეთესად იყვნენ გაწვრთნილი, უფრო გამობრძმედილი ბრძოლაში და მეტად ერთ მუშტად შეკრული, არის საზღვრები, რომელთა მიღმა საღი აზრი ვერ აღწევს... სრულიად დაუჯერებელია, რომ 90 ათასიანი მოსახლეობიდან შერჩეულმა აფხაზურმა ძალებმა რუსეთის ჩარევის გარეშე დაამარცხეს ოთხასევარ მილიონიან ქართველებში შერჩეული ჯარი“.

მხარეთა რიცხობრივ შეუსატყვისობაზე წამყვანი ჰოლანდიური ყოველკვირეული „ელსევირიც“ ამახვილებს ყურადღებას. ჟურნალის სპეც. კორესპონდენტის თბილისში ვ. დიუკი წერს: „ბოლო რამდენიმე თვის მოვლენების მიუხედავად, ბევრ ქართველს არცთუ უსაფუძვლოდ სჯერა, რომ საქართვე-

დასასრული მე 2-ე გვერდზე

დღევანდელი ნომრის სპონსორია მთაწმინდის
რეგიონალური სახალხო ფრონტი
თავმჯდომარე ნუგზარ ხიდეშელი

ეშმაკთან ცეკვა

(დასავლეთის პრესა საქართველო -რუსეთის ურთიერთობებზე)

დასასრული

ლოს ჰყავს ერთადერთი ნამდვილი მტერი — რუსეთი... დღეს საქართველოს რეალურად ემუქრება ამ მტრის სატელიტად გადაქცევის საფრთხე. ვისაც არ უნდა მხარი რუსებმა დაუჭირონ, "ცხადია, საბოლოო ჯამში, ისინი დარჩებიან გამარჯვებული".

გასულ წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, დასავლეთის წამყვანმა პოლიტიკოსებმა ინგლისური ჟურნალი „იქონომისტი" ინფორმაციის ყველაზე საიმედო წყაროდ აღიარეს. მითუმეტეს არ უნდა იყოს მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული ციტატი ამ ჟურნალის სარედაქციო სტატიიდან: „ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს მონროს დოქტრინის ახალ ვარიანტთან. ეს ვარიანტი XXI საუკუნეში ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიას რუსეთის გავლენის სფეროდ აცხადებს ისევე, როგორც ჯეიმს მონრომ XIX საუკუნეში მთელი ამერიკის კონტინენტი აშშ-ს გავლენის სფეროდ გამოაცხადა. დღეს რუსეთის ამგვარ პრეტენზიებს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მტკიცე უარი უნდა უთხრან, ვინაიდან ამ შემთხვევაში დასავლეთის ინტერესები რუსეთის ინტერესებთან პირდაპირ კონფლიქტში იმყოფება... ცხადია, რომ რუსეთი დღეს ხშირ შემთხვევაში მშვიდობიანი ძალა კი არა, დესტაბილიზაციის ძირითადი ფაქტორია.

საეჭვოდ მსგავსი სიტუაციები განმეორდა საქართველოში, მოლდოვაში და ტაჯიკეთში. ყველაფერი იწყება ახალი ნაციონალისტური მთავრობის წინააღმდეგ მიმართული უჩვეულოდ გააფთრებული აჯანყებით. შემდეგ, მოულოდნელად, წესრიგის აღსადგენად გაგზავნილი სამთავრობო ძალები ორგად შეიარაღებულ აჯანყებულთა და რუს ჯარისკაცთა წინააღმდეგობას აწყდებიან. დასასრულ, რუსეთი თავის თავსე იღებს საშუამავლო მისიას და ყველაფერი მთავრდება იმით, რომ ნაციონალისტური მთავრობა იძულებული ხდება რეგიონის კონტროლი დაუთმოს რუსეთის „სამშვიდობო ძალებს".

„იქონომისთის" მოსკოველმა კორესპონდენტმა თავის სტატიას უწოდა: „სად მთავრდება რუსეთი?" სტატიაში ნათქვამია: „აფხაზები ძალიან გამოადგნენ რუსებს. მათმა სამხედრო წარმატებამ და ზვიად გამსახურდიას სამხედრო კამპანიამ კინაღამ ბოლო მოულო შევარდნაძეს. მას შემდეგ, რაც შევარდნაძე დასთანხმდა 20 ათასი რუსი ჯარისკაცის უვადო ყოფნას საქართველოში, რუსი ჯარები მას დაეხმარნენ... რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის თანახმად „მახლობელ უცხოეთში" სამხედრო ჩარევისთვის აუცილებელია ადგილობრივი მთავრობის თანხმობა. მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რას ნიშნავს ეს „თანხმობა". გავიხსენოთ უნგრეთი 1956 წელს".

რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინაზე წერს პენტაგონთან დაახლოებული „იუ-ეს-ნიუს ენდ უორლდ რიფორთიც". ჟურნალის სარედაქციო კომენტარს ეწოდება: „სსრკ-ს აღდგენა". ჟურნალი შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ სამხედროები. ჟურნალი წერს, რომ სამხედროებს ორი ძირითადი მიზეზი გააჩნიათ იმისათვის, რომ სსრკ-ს აღდგენისაკენ მიისწრაფოდნენ. პირველი მიზეზი სტრატეგიულია. რუსი სამხედროები ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ ყოფილ საბჭოთა და რუსეთის თავდაცვის პარამეტრებს შორის. მეორე მიზეზი ეკონომიკურია. დასავლური სტანდარტებით საბჭოთა სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი დანაწევრებული და მჭიდროდ ინტეგრირებული იყო. ბევრს მიაჩნია, რომ ამ კომპლექსის რეკონსტრუქციაზე უფრო ადვილი საბჭოთა კავშირის აღდგენაა.

იმავე სარედაქციო კომენტარში ჟურნალი დასძენს: „რუსეთის არმია „სტაბილურობის გარანტი" კი არ არის, როგორც მას გრაჩოვი უწოდებს, არამედ არეულობის კატალიზატორია".

მაგრამ საფრთხე მხოლოდ რუსი სამხედროებისაგან არ მოდის. ლაპარაკია ზოგადად რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ბოლო დროის მოვლენების ფონზე. გერმანული „შპიგელი" შენიშნავს: „რუსეთში დღეს შექმნილია სიტუაცია, როდესაც ისეთი ლიბერალებიც კი, როგორიც კოზირევია, მიმართავენ შოვინისტურ ტერმინოლოგიას, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს შეშფოთება საქართველოდან ბალტიისპირეთამდე. სწორედ საქართველოს და ბალტიისპირეთს უჭირავთ პირველი ადგილები რუსი შოვინისტების სამიზნეთა სიაში".

ამერიკულ ჟურნალ „თაიმს"-ს მოჰყავს წამყვანი ამერიკელი სოვეტოლოგის პოლ გებლის სიტყვები: „რუსებს სურთ როგორმე გადალახონ ის დამცირება, რომელიც თან ახლავს ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვას. მათ არა აქვთ საკმარისი ძალები, რომ ჯავრი იყარონ მსოფლიო ბანკზე, მაგრამ იმდენი ძალა ყოველთვის აქვთ, რომ გული მოიოხონ საქართველოზე".

ცნობილი სოვეტოლოგის დიმიტრი საიმსის მიერ „ფორონ ეფეარს"-ში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თავდაპირველად ესენგე ევროპული თანამეგობრობის და ნატოს მსგავს გაერთიანებად მიიჩნიეს, მაგრამ მალე უკანასკნელთაგან განსხვავებით ნათელი გახდა მისი წევრების მუდმივი ეკონომიკური დაპირისპირება. და საერთო მტრისგან თავის დაცვის ნაცვლად ერთმანეთის შიში. სსრკ-ზე რამდენიმე გახმაურებული წიგნის ავტორმა სტივენ კოენმა კი კონგრესში გამოსვლისას მოუწოდა დიფერენცირებულად მიუდგნენ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს მათ მიერ გატარებული პოლიტიკის და არსებული რეალიების გათვალისწინებით, ხოლო საქართველოს „რუსეთის სამხედრო პროვინცია" უწოდა.

უდიდესი ბელგიური გაზეთი „ლე სუარი" წერს: „ბორის ელცინი და მისი გენერლები ცდილობენ რუსეთის იმპერიული მემკვიდრეობის აღდგენას. ცდუნება განსაკუთრებით ძლიერია რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე. დამოუკიდებელმა საქართველომ ორნახევარი წელიწადი იარსება და შემდეგ ოკუპირებული იქნა წითელი არმიის მიერ. ელცინმა დამოუკიდებელ საქართველოს თანამედროვე პერიოდში ზუსტად ამდენივე დრო გამოუყო. რუსეთის ჯარებმა, ამა თუ იმ მასშტაბით, ჯერ მხარი დაუჭირეს აფხაზ მუსლიმანებს და გამსახურდიას, შემდეგ კი შევარდნაძეს დაეხმარნენ ისეთი პირობებით, რომლებიც ფაქტობრივად ბოლოს უღებენ საქართველოს დამოუკიდებლობას".

ბელგიური გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ამ სტატიას სათაურად აქვს: „მუხლებზე დაჩოქილი საქართველო". სხვათა შორის, შარშან, შემოდგომაზე, „პრავდამ" და „სოვეტსკაია როსიამ" ზუსტად ამავე სათაურით და ასევე პირველ გვერდზე დასტამბეს ზარზეიმით აღსავსე სტატიები.

ხშირად სათაური უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე თავად სტატიის შინაარსი. „ნიუ-იორკ თაიმსის" მიმომხილველმა თავის ვრცელ სტატიას უწოდა: „ძველი ქართული იგავი „ეშმაკებთან ცეკვა".

მიხეილ სააკაშვილი

"გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი" ანუ „ბანკობია" საქართველოში

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ქომაგმა, მწერალმა გია ლომაძემ, ამას წინათ ინტერვიუში ილია ჭავჭავაძე ახსენა. ცხადია, მისთვის სასურველ კონტექსტში.

არადა, ილიას რომ დვალიშვილის მსგავსი ფინანსისტი ჰყოლოდა ბანკის მმართველად, ბერბიჭაშვილის დაქირავება ბოლშევიკმენშევიკთა მიერ არ გახდებოდა საჭირო, ილიას თვითონ გაუსკდებოდა გული.

ბანკის გარშემო რია-რია და აურზაური, როგორც მოგეხსენებათ, პირველად მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ატყდა.

სხვათა შორის, ჩხუბის მიზეზი მაშინაც, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იყო.

ილიას საადგილ-მამულო ბანკი გასცემდა სესხებს. დამფასებელი კომისია აფასებდა მსესხებლის მამულს. დაითვლებოდა მამულის შემოსავალი და თანხაც შესაბამისი ოდენობით გაიცემოდა. მემამულე თუ დათქმულ ვადაში სესხს ვერ გადაიხდიდა, ხომ განთავისუფლდა ის კაცი, ახლა მაინც მოგასმენინოთ, იტყვით თქვენ - და - მართალიც იქნებით. მეც ვფიქრობდი, „შევეშვათ წარსულ დროებზე დარდს"- მეთქი, მაგრამ სარწმუნო წყაროები გვაცნობებენ, ბანკებში მომხდარი საკადრო ცვლილებები ისევ უმუშევარი დვალიშვილის სცენარით ხდებაო... ლაპარაკია შემდეგზე:

1994 წლის 13 იანვარს მინისტრთა კაბინეტში დაიბარეს ყველაზე მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკების გამგეობათა თავმჯდომარეები. ეს თავმჯდომარეები თავის დროზე დვალიშვილის პოლიტიკას მხარს არ უჭერდნენ და რაკი ეროვნულ ბანკში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, იფიქრეს, ალბათ, კაი საქმეზე გვეძახიან, იმ პოლიტიკის არგაზიარებისათვის ეპოლეტებსაც მოგვცემენო.

მაგრამ ფარსადან ბოდბისხეველს არ დასდგომია ის დღე, რაც ამ ბანკირებს დაემართათ.

ფარსადანს ბრალი მაინც წაუყენეს — „შე ჭურდო და მამაძღლო, რად იჭერდი ემაგ ტყვესა"-ო, ამათთან კი ლაპარაკიც არ იმავე დღეს დაგირავებული მამული გაეყიდებოდა. მეტი სიმკაცრე გაგონილა?

არადა, ასე რომ არ მოქცეულიყო დიდი ილია, ჩვენი ბედოვლათი თავადაზნაურობის შემყურე ბანკი, გაკოტრდებოდა, ამით კი საქართველოს ის არაოფიციალური ბიუჯეტი დაიშრიტებოდა, რითაც ილია ინახავდა სკოლებს, გაზეთებს, თეატრს, რითაც ილია ხელს უმართავდა გაჭირვებულ მოღვაწეებს.

ილიას ბანკი ფულით ფულს იგებდა. ურჩი გადამხდელი ქვესკნელშიაც ვერ დაემალებოდა, რადგან გირაო ბანკის ხელში იყო.

როგორ იქცეოდა დვალიშვილის გუნდი?

დემურ დვალიშვილს რომ თავისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საკუთარი ჯიბიდან ეწარმოებინა და არა სახელმწიფო ხაზინიდან, მასზე უკეთეს მეგობარს ვერ ვინატრებდი.

ამ კაცს ისეთი მეთოდი ჰქონდა მუშაობისა, პირდაპირ შეგიყვარდებოდა.

სესხი გინდოდა? — „პაუალუსტა".

გირაო? — ულვაშის ღერი.

მოქმედებდა ყოვლად ჰუმანური პრინციპით — „მე მირჩევნია ადამიანს ვენდო და მოვტყუილდე, ვიდრე არ ვენდო და არ მოვტყუილდე"-ო. ამისთანა კაცი, ისეთ კაცს, როგორიც გია ლომაძეა, არ ეყვარებოდა? ის კი არა, ბატონ გიას ამ სიყვარულში მეც შეეზიარებოდი, რომ არა ერთი გარემოება, არდაბრუნებული სესხები „ულვაშის ღერის" (სხვა რამეს როგორ ვიფიქრებ) საფასურად რომ იქნა გაცემული და რეზო შავიშვილი რომ პლატონივით დაეძებს სამანიშვილივით სოფელ-სოფელ და ეზო-ეზო, ჩემსა და შენს ჯიბეს მოაკლდა ძვირფასო მკითხველო, რადგან ხაზინა მთელი ერისაა და არა ბანკების მიერ გააზნაურებული აფერისტების.

ბანკირებს ბატონ ზვიადმერ პატეიშვილს, შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ვერ აკადრეს განთავისუფლება, მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს გაუფრთხილდნენ და ერთი ბანკიდან მეორის თავმჯდომარედ გადაიყვანეს.

მე არ ვიცი, სხვები იქნებ კიდეც იყვნენ მოსახსნელები, მაგრამ, მე ის ვიცი, რომ ვისაც ამ ამბავს უნდა დაჰკითხოდნენ, ბუზადაც არ ჩათვალეს.

წესით, კანონით, დებულებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ჯავახიშვილი საქმის ყურში მაინც უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში ბაიბურში არ იყო.

როგორც ჯავახიშვილის ერთერთი ინტერვიუდან ირკვევა, არც ახალი თავმჯდომარეების დანიშნა შეუთანხმებია მისთვის ვინმეს.

ჩემი მიზანი არ გახლავთ არც ყოფილი თავმჯდომარეების დაცვა და არც ახლად დანიშნულთა კრიტიკა, რადგან მათი პროფესიული მოღვაწეობის სფერო ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

დავსძენ კიდეც, ერთ-ერთ ახალ თავმჯდომარეს, ბატონ ვანო ჩხარტიშვილს სპეციალისტები ასახიათებენ როგორც კომპეტენტურსა და საქმის ერთგულ ახალგაზრდა კაცს.

ასე რომ, ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ იმ ხაზოგადო ჭირზე ვწერთ, რასაც საკადრო პოლიტიკის არა ღიად, არამედ კულისებიდან მართვა ჰქვია უფლავი დირიჟორის მიერ...

ამასთან დაკავშირებით მეორე გვერდზე გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის მიერ მომზადებულ მასალას.

ნოდარ გრიგალაშვილი

პოლიტიკა ბანკში

სამთავრობო და საბბანკო წრეებთან დაახლოებულ და კარგად ინფორმირებულ წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს საბანკო სისტემა აუცილებლად გაეხვევა პოლიტიკურ ინტრიგებსა და ბატალიებში და ეს გაკეთდება ხელისუფლების მხრიდან შეგნებულად და მიზანმიმართულად.

სცენარი შეიძლება განვითარდეს შემდეგნაირად: საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი საქართველოს საბანკო კანონმდებლობაზე დაყრდნობით გააპროტესტებს მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკების გამგეობათა ახალ არაპროფესიონალ გამგეობათა თავმჯდომარეების დანიშვნის საკითხს და მოსთხოვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მისი 1994 წლის 13 იანვრის დადგენილების გაუქმებას. მთავრობა არ გააკეთებს ამას და საფუძვლად მოიყვანს „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლს და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 14 სექტემბრის № 166 ბრძანებულების მე-7 პუნქტს. ასეთ განმარტებას, მისი უსაფუძვლობის გამო არ დაეთანხმება ეროვნული ბანკი და დააყენებს საკითხს ასე: „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 14 სექტემბრის № 166 ბრძანებულება არ აუქმებს და არც აჩერებს „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონებს, შესაბამის კანონქვემდებარე და სხვა ინფორმაციული აქტების მოქმედებას. ამდენად, ეროვნული ბანკი კანონისაგან მოითხოვს ამ ბანკებში მხოლოდ პროფესიონალების დანიშვნას, თანაც ეროვნული ბანკის წარდგინებით (ანუ ისე, როგორც წესია). მაგრამ, ვარაუდობენ, რომ ეროვნული ბანკი ვერ მიაღწევს არაპროფესიონალ გამგეობათა თავმჯდომარეების განთავისუფლებას.

ამასობაში კულისებში მყოფი დ.დვალიშვილის, მისი კლანის „გამორჩეულ“ წარმომადგენელთა, სახელმწიფოს მეთაურის აპარატსა და მინისტრთა კაბინეტში თბილად მოკალათებული საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირთა კონსულტაციების, რჩევებისა და კონკრეტული მოქმედებების საფუძველზე იწყება ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის შვილობითი „ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის“ რეანიმაციისა და ეროვნული ბანკის დღევანდელი ხელმძღვანელის კომპრომენტაციის მიზნით ფართომასშტაბიანი ოპერაცია.

სცენა I. სცენა ასახავს ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის საქმიანობის გამამართლებელ მოქმედებებს. სახელმწიფოკომერციული ბანკების გამგეობათა ახალი თავმჯდომარეების მეშვეობით პრესის, ტელევიზიის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით საზოგადოებისათვის მიწოდებული ინიციდება დაახლოებით ასეთი პოზიცია: 1992 წლის_ბოლოსა და 1993 წლის განმავლობაში რესპუბლიკის მოსახლეობას ძალიან უჭირდა კვების პროდუქტები, შიმშილის საშიშროება ემუქრებოდა ხალხს და სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი იძულებული იყო სხვადასხვა, პირადად მის მიერ რაღაც ნიშნით შერჩეული და სელექციერებული ფირმებისათვის, „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის რამდენიმე მუხლის უხეში დარღვევით, საქართველოს პარლამენტთან შეუთანხმებლად, ფანტასტიკური მოცულობის საკრედიტო ემისიის (500 მილიარდი მანეთი და კუპონი) ხარჯზე გაეცა შეღავათიანი სესხები, მათ შორის ზოგი 3 და 5 წლითაც კი. შედეგად ამისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ სწორედ დვალიშვილის წყალობით გადავრჩით 1993 წელს. მაგრამ საზოგადოებას არამც და არამც არ აცნობებენ, რომ: დვალიშვილის მიერ შერჩეულ ფირმებზე თვით დვალიშვილის რეზოლუციით „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის უხეში დარღვევით გაცემულ იქნა 500 მილიარდი მანეთის (დიახ, მანეთის) კრედიტები ვითომცდა რესპუბლიკის მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების შემოტანის მიზნით და რომელთაგან საქართველოს მოსახლეობისთვის ამ თანხის 1 -ის ღირებულების პროდუქტიც კი არ შემოსულა. იმასაც კი არ ეტყვიან საზოგადოებას, რომ საკრედიტო ემისიის ხარჯზე ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის მიერ გაცემული კრედიტები რესპუბლიკის გარეთ კი არ გადაირიცხა, არამედ მათი უმეტესობა (90 მაინც) საქართველოს საბანკო სისტემის არხებში „ჩაისხა“, რომელმაც: ე.წ. „გაცოცხლების“ მექანიზმის მეშვეობით ვადაზე ადრე სრულად „დააშრო“ საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ არსებული ნაღდი რუსული მანეთი (ამან გამოიწვია ნაღდი რუსული ფულის მწვავე დეფიციტი, შედაგად საქართველოს საწარმოთა მუშამოსამსახურეებმა 4—5 თვის განმავლობაში ვერ მიიღეს ხელფასი). იმ პერიოდში, ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებების გამო, რუსეთმა არ გამოგვიყო 60 მილიარდი ნაღდი რუსული მანეთი. შეიქმნა სოციალური აფეთქების საშიშროება, რომელმაც აიძულა საქართველოს ხელისუფლება შემოეტანა გარდამავალი ვალუტა — ქართული კუპონი.

მოსახლეობას იმასაც დაუმალავენ, რომ სწორედ ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის მიერ გაცემული ემისიური კრედიტების ნაწილი (დაახლოებით 350 მილიარდი მანეთი), რომელიც „გადარჩა“ ე. წ. „გაცოცხლების“ ოპერაციის დამთავრების შემდეგ, მიმართულ იქნა „კავკასიის ბირჟაზე“ უსაქონლო ოპერაციების მეშვეობით ნაღდი ამერიკული დოლარების შესაძენად. დასაბამი საქართველოში უსაქონლო ოპერაციების აღზევებას მისცა არა „კავკასიის ბირჟამ“ და მისმა სტრუქტურებმა, არამედ ეროვნული ბანკიდან უკანონოდ გამოსულმა ფანტასტიკური მასშტაბების არ არსებულმა კრედიტებმა.

ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის მიერ გაცემული ემისიერი კრედიტებისა და ჰიპერინფლაციის ხარჯზე უშრომლად გამდიდრებული ე. წ. „ბიზნესმენები“ აუცილებლად გამოვლენ საინფორმაციო საშუალებებით და ხოტბა-დიდებას შეასხამენ დვალიშვილს, მის ე. წ. „ლიბერალურ საკრედიტო პოლიტიკას“ და ამით კიდევ ერთხელ მოატყუებენ ხალხს.

სცენა II. მაკონტროლებელი ორგანოები ამოწმებენ 1992—1993 წლებში ემისიური კრედიტების ხარჯზე დაკრედიტებულ ყველა ფირმას (მათ შორის იმათაც, ვისაც კრედიტები უკვე დაფარული აქვს), გამადიდებელი ლუპით ეძებენ დანაშაულს — შედეგად ამისა ხდება უსაქონლო ოპერაციებისა და ჰიპერინფლაციის ხარჯზე მეწარმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მიერ დაგროვილი დამალული შემოსავლების „გადანაწილება“ მაკონტროლებელ ორგანოებსა და ბიუჯეტს შორის. მეწარმეთა სელექციის (პოლიტიკური სპექტრის, „გადანაწილების“ პროცესში გამოჩენილი გულკეთილობის, პროტექტორატის სტრუქტურის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით) საფუძველზე საზოგადოების ყურადღების მისაქცევად რამდენიმე უპატრონო ფირმის და არა ყველას მიმართ მართლაც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

სცენა III. I და II სცენების პარალელურად ხდება, ძირითადად საკადრო ცვლილებები სახელმწიფო კომერციულ ბანკებში. სახელმწიფო კომერციული ბანკები მსგავს „ღონისძიებებს“ მიჩვეული არიან ჯერ კიდევ გამსახურდიას პერიოდიდან. ექსპრეზიდენტი გამსახურდია, გელანტიას განსაკუთრებული მეცადინეობის წყალობით, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საერთოდ პროფესიონალების, მათ შორის პროფესიონალი ბანკირების მიმართ. ეროვნული უზენაესი საბჭოს ეროვნული საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელანტიას წინადადებით ერთ დღეს — 1991 წლის 15 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმმა ბატონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით თანამდებობიდან ერთდროულად გაანთავისუფლა ყველა სპეცბანკის პროფესიონალი ხელმძღვანელები. მათ შორის: ბინსოცბანკის (ა. ერგემლიძე, დ. გოშაძე, შ. სულამანიძე), მრეწვმშენბანკის (ზ. გენძეხაძე, მ. ნარსია, ნ. ფიფია), აგრობანკის (ი. კორტავა, გ. ქილაური). განთავისუფლებულიყვნენ აგრეთვე სახელმწიფო ბანკის გამგეობის ხელმძღვანელები (ვ. პატეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, კ. სვანიძე). გამსახურდიას პერიოდში სპეცბანკების მიმართ განხორციელებული პრაქტიკა ისევ გამეორდა, ე. ი. ისტორია მეორდება, ამჟამად უკვე ბატონ გ. აბსანიძის მასწავლებლის ბატონ დ. დვალიშვილის მიერ დადგმული სცენარის მიხედვით.

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ სახელმწიფო კომერციული ბანკების ხელმძღვანელ თანამდებობებს დაუბრუნდა თითქმის ყველა პროფესიონალი, გარდა ბატონი. კორტავასი (რომელიც მარცთლაც გამორჩეული იყო, როგორც მაღალი ერუდიციის მქმარიტი საბანკო საქმის პროფესიონალი). იგი უკვე მეოთხე წელია ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს პირველი კატეგორიის ბანკში.

სახელმწიფო კომერციული აგრომრეწვბანკსა და ინდუსტრიაბანკში არაპროფესიონალი გამგეობის თავმჯდომარეები, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ექსპრეზიდენტის რჩევა-დარიგებების შესაბამისად აგროვებენ თავმჯდომარის მოადგილეებზე მაკომპრომენტირებელ მასალებს. თუ მასალები არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ საგანგებო მდგომარეობის წესების ვადის გასვლამდე, სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის № 166 ბრძანებულების მე-7 პუნქტის 3) ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად მიაღწევენ არაკეთილმოსურნე მოადგილეების განთავისუფლებას, მათ ნაცვლად მოიყვანენ თავიანთ „გუნდს“ და უკვე სპეცბანკების პოზიციიდან მინისტრთა კაბინეტიდან დაიწყება: მასირებული ზეწოლა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და მის ხელმძღვანელობაზე; ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტის რეანიმაციის უზრუნველმყოფი „კომპრექსური ღონისძიებების“ გატარება.

სპეცბანკებში ასეთი კლიმატის პირობებში სახელმწიფო კომერციული ბანკები დაიწრიტება პროფესიონალი ბანკირებისა და ბანკის მოხელეებისაგან (განსაკუთრებით ბანკის საოპერაციო სამსახური).

ეს მე-3 სცენა ბიძგს მისცემს ბანკებში არაპროფესიონალების მოძალების ტენდენციას, რომლებიც მნიშვნელოვნად შეაფერხებენ საბანკო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, ვერ უზრუნველყოფენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით გათვალისწინებული საბანკო რეფორმის განხორციელებას.

სამივე სცენაზე „მსახიობების“ (შემსრულებლების) მიერ მოქმედებების ზუსტად განხორციელების პირობებში სახელმწიფო კომერციული ბანკები გადაიქცევიან საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და ხელისუფლების ორგანოების, ძმა-ბიჭებისა და მეგობრების სურვილების რეგისტრაციის დაწესებულებებად.

მხოლოდ ამის შემდეგ ჩაცხრება ბატალიები ბანკების გარშემო.

მ. ცხინვალელი

ესეც ახალი თავსატეხი!

დიდი მითქმა-მოთქმაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი პრემიერის თენგიზ სიგუასადმი გასული წლის ივნისის თვის შუა რიცხვებში გამოგზავნილ დოკუმენტზე, რომელსაც ხელს აწერს ამ ფონდის ევროპის მეორე სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ედუარდ ბრაუ და სადაც საუბარია საქართველოსათვის 400 მილიონი დოლარის გამოყოფაზე 12 თვის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში 1994 წლის ბოლომდე.

საქმე ისაა, რომ ამ მომართვის ტექსტის დედანი დაკარგულია. ყოფილი პრემიერის თქმით, დედანი მან გადადგომის წინ გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს. სახელმწიფოს მეთაური კი თავის მხრივ ამ ფაქტს უარყოფს. ყოფილი პრემიერის აზრით მომართვის დედანი გადაიმალა, რათა მასში საქართველოს მოსახლეობას ხსნა არ ენახა და მხარი დაეჭირა თანამეგობრობაში გაწევრიანებისათვის.

მართებულად შენიშნავს საქინფორმის კორესპონდენტი მაია ალუდაური: „ძნელია, რასაკვირველია, არ დაუჯერო ბატონ თენგიზ სიგუას [illegible] ეჭვი შეიტანოთ მის სიმართლეში, მაგრამ ასევე ძნელია, არ დაუჯერო სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც ამბობს, რომ მსგავსი დოკუმენტი თვალითაც არ უნახავს, აქედანც გამომდინარე, ვერც გადამალავდა“. საქმეს ამწვავებს ისიც, რომ ამ სკანდალურ ისტორიასთან დაკავშირებულია ქვეყნის ხელისუფლების ორი მთავარი ფიგურა, ერთი ამჟამინდელი და ერთიც ყოფილი.

რახან არსებობს სავალუტო ფონდის მომართვის ტექსტის ასლი, ეჭვის გარეშეა მისი დედანის არსებობაც, რომელიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. მოკლედ ჩვენს ისედაც შეჭირვებულ ყოფას ახალი თავსატეხი გაუჩნდა. მაგრამ ამ თავსატეხში საგანგაშოა არა იმედანად დოკუმენტის დედნის აორთქლების ფაქტი, არამედ ის, რომ ქვეყნის ადრინდელი და ამჟამინდელი ხელისუფლების ორი უმაღლესი წარმომადგენლიდან ერთ-ერთი მაინც, ხმამართლეს არ ლაპარაკობს.

მიხეილ მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იბრძვიან ჩვენს გადასარჩენად?

ერთ-ერთი დიდი უბედურება, რაც ადამიანს შეიძლება დაემართოს, უმადურობის სენი გახლავთ. იგივე ითქმის ერზეც. ქართველი ხალხი არ არის უმადური და საშველად გამოწვდილ ხელს მუდამ მადლიერების გრძნობით ხვდებოდა.

ცივილიზებულ ევროპას, მათგან სხვადასხვა დროს იმედგაცრუებულნი, მაინც იმედით შევყურებთ, რადგან ახლო მეზობლები საიმედოს არაფერს გვიტოვებენ...

ჩვენ მადლიერნი ვართ დასავლეთის მთავრობების თბილი სიტყვებისთვის, ჰუმანიტარული დახმარებისათვის.

მადლიერებითა და იმედით შევხვდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავმჯდომარისაგან გასული წლის ოქტომბერში, დამარცხებულ და განადგურებულ საქართველოში, ფაქტების დამდგენი მისიის გამოგზავნას.

მაგრამ...

სხვის იმედით ცხოვრება სრული უიმედობით დასრულდება.

ეს დალოცვილი „მისიონერები" პილატეს „ობიექტურობით" იბანენ ხელს.

აფხაზებისა და საქართველოს ხელისუფლებაზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს ისინი ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტები იყვნენ.

აფხაზთა სიმცირესა და ქართველთა სიმრავლეს ისეთი კუთხიდან უსვამენ ხაზს, რომ მათი ტენდენციურობა შესავალშივე თავს იჩენს დაკვირვებული მკითხველისათვის.

სოჭის ხელშეკრულების დარღვევაც ლამის ჩვენზეა გადმობრალებული.

დანარჩენს მკითხველი ამოიკითხავს დოკუმენტიდან, რომელიც ჩვენზე იწერება და ჩვენში არ ქვეყნდება. მისი მოპოვება კი არაოფიციალური წყაროებიდან გვიწევს...

იქნებ ამიტომაც არ ქვეყნდება, რომ ეს ჩვენი „მეგობრები", ტექსტის მთელი რიგი „ობიექტური" ადგილების მიხედვით არძინბას მეგობრებიც ჩანან. ოღონდ საკითხავი ისაა, მათი ეს „ობიექტურობა" გადის თუ არა მოსკოვზე, რომელიც ჩვენი დამარცხების ორგანიზატორი იყო და რომელზეც სიტყვა არაა დაძრული ფაქტების დამდგენთაგან...

ერთ-ერთი ... ჭირი ღობეს ჩხირიო.

თქვეს. წინაშეა ვრცელი ტექსტი, რომელიც ამ მისიის წევრებმა ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის წარუდგინეს და რომელიც შეერთებული შტატებიდან გამოგვიგზავნა ჩვენმა თანამემამულემ.

ამ ტექსტს ერთადერთი მოსაზრებით გთავაზობთ.

რედაქცია

გაეროს ფაქტების დამდგენი კომისიის მოხსენება აფხაზეთში

გენერალური მდივნის შენიშვნა

აქ თანდართული დოკუმენტი შეიცავს მოხსენებას ფაქტების დამდგენი კომისიისა, რომელიც ... გავაგზავნე 1993 წლის ოქტომბერში საქართველოში, აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევების გამოსაძიებლად „ეთნიკური წმენდის" შესახებ ცნობების ჩათვლით. კომისიის გაგზავნის ჩემ გადაწყვეტილებას მიესალმა უშიშროების საბჭო თავისი რეზოლუციის №4 მუშა პარაგრაფით 876 (1993) 19 ოქტომბერი; კომისია რეგიონში იმყოფებოდა 22-დან 30 ოქტომბრამდე.

დანართი:

გენერალური მდივნის ფაქტების დამდგენი კომისიის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკაში, კერძოდ კი აფხაზეთში, ადამიანის უფლებების დარღვევისა და ძალადობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით.

შესავალი

1. ვეყრდნობოდი რა ცნობებს საქართველოში, აფხაზეთში, მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შემთხვევებს და არაერთ დაჟინებულ თხოვნას, დამედგინა მათი ხასიათი და მასშტაბები, გადავწყვიტე ოქტომბერში გამეგზავნა ფაქტების დამდგენი კომისია, რათა გამოეძიათ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მდგომარეობა აფხაზეთში, „ეთნიკური წმენდის" შესახებ ცნობების ჩათვლით.

2. უშიშროების საკონსულო მიესალმა ამ გადაწყვეტილებას თავის 876-ე (1993 წ.) რეზოლუციაში. 881-ე რეზოლუციაში საკონსულომ გაიმეორა თავისი მოთხოვნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ჩართულ ორივე მხარეს შეეკავებინა თავი ძალის გამოყენებისა და ადამიანის საერთაშორისო უფლებების დარღვევისაგან. იგი მოუთმენლად ელის ფაქტების დამდგენი კომისიის საბოლოო მოხსენებას.

3. კომისია ადგილზე იყო 1993 წლის 22-დან 30 ოქტომბრამდე. მას სათავეში ედგა ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრის საერთაშორისო აღმასრულებელი განყოფილების ხელმძღვანელი, რომელსაც დახმარებას ... ერი, ერთი — ჟენევის ცენტრიდან, ხოლო მეორე — ნიუ-იორკის პოლიტიკური დეპარტამენტიდან.

4. 1993 წლის 22-დან 27 ოქტომბრამდე კომისიამ ჩაატარა შეხვედრები აფხაზეთში (გუდაუთასა და სოხუმში) ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, მთავარი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის ჩათვლით, საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ ოფიციალურ პირებთან, აგრეთვე შინაგან საქმეთა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეთნიკური ურთიერთობების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარესა და მის მოადგილესთან, სოხუმის ადმინისტრაციული რეგიონის უფროსთან, ტყვეთა და სოხუმის მოქალაქეთა უფლებების დაცვის კომისიის ხელმძღვანელებთან, დამატებით შეხვდა ოჩამჩირის რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ოჩამჩირისა და გაგრის მერებს. კომისიას აგრეთვე ურთიერთობა ჰქონდა ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფის „ასარკიელის" კოორდინატორთან.

5. კომისია თბილისში ყოფნისას 1993 წლის 28-დან 30 ოქტომბრამდე შეხვდა მთ... შემდეგ წარმომადგენლებს: ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს; აფხაზეთში ჩადენილ არაადამიანურ დანაშაულებათა დოკუმენტაციის კომისიის ხელმძღვანელსა და მის მდივანს; იძულებით გადაადგილებულთა და ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს; აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, პირველ ვიცე-პრემიერს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ... ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს.

6. ორივეგან — სოხუმსა და გულრიფშის რაიონის სოფლებში, ისევე როგორც ოჩამჩირესა და თბილისში, მისიას შესაძლებლობა ჰქონდა გასაუბრებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთ, თვითმხილველებს და სხვა მოქალაქეებს. თბილისში კომისია ეწვია ლტოლვილთა განსახლების სამ ცენტრს და ესაუბრა პირებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები. თბილისსა და სოხუმში შედგა შეხვედრები საერთშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლებთან საქართველოში (ICRC) და არასამთავრობო ორგანიზაციასთან **Medecins sans frontieres** (მედიცინა საზღვრებს გარეშე) და ბოლოს, თბილისში კომისია შეხვდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის წარმომადგენლებს.

I ფონი და შინაარსი

7. ... ...

ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და ეთნიკური წმენდის შესახებ

თრი არწივის“ წევრებს. ამასთან ერთად მითითებულია ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც, რომელიც შეიარაღებული იყო. ამ ძალების მიერ და თანამშრომლობდა კიდეც მათთან. შემოსულია ცნობა, რომ 1992 წლის 14 აგვისტოდან პირველი ოთხი თვის მანძილზე აფხაზები წარმოადგენდნენ სამიზნეს ქართველებისათვის. შედარებით ნაკლები ადამიანის უფლებების დარღვევა იქნა აღრიცხული ქართული მხარის სამთავრობო კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც 1992 წლის ბოლოს ეროვნული გვარდია და „მხედრიონი“ შეცვალა ადგილობრივ ქართველთა გაერთიანებამ.

ა) უკანონო სასჯელი

14. სიცოცხლის უფლების ხშირ დარღვევას ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებისთანავე. კომისიამ თავი მოუყარა თვითმხილველთა ჩვენებებს უკანონო სასჯელებისა და ყველა ასაკის მოქალაქეთა მასობრივი დესპოტური მკვლელობების შესახებ. მსხვერპლის დიდ ნაწილს შეადგენდნენ მოქალაქეები, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას სამხედრო კონფრონტაციაში, აგრეთვე, ბრძოლის დროს დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი მეომრები, რომლებიც დაიღუპნენ.

ბ) წამება და სასტიკი მოპყრობა, გაუპატიურების ჩათვლით

22. კომისიამ მიიღო ინფორმაციები იმ შემთხვევების შესახებ, როცა სიკვდილით დასჯას ეასაბრთლების გარეშე წინ უსწრებდა წამება და სასტიკი მოპყრობა. მიიღეს ჩვენება, რომლის მიხედვითაც წამების მეთოდებს აფხაზები მიმართავდნენ დაკითხვისას ბეჭვინთის რეგიონში კონფლიქტის ადრეულ ფაზაშივე. კომისიის ხელმძღვანელობა

ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით.

გ) საკუთრებაზე უფლებების დარღვევა, ბინებისა და სახლების ძარცვა და დაწვა

23. აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის პირველ ეტაპზე უხეშად ირღვეოდა უფლებები კერძო საკუთრებაზე. ათასობით ადამიანმა დაკარგა სახლი, ბინა და სხვა სახის საკუთრება. ძალზე დიდია იმ დარღვევათა რიცხვი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ორივე მხარის შეიარაღებული ძალების, ქართველთა თუ აფხაზთა წინსვლისა და უკანდახევის დროს. შენობების უმეტესობა საომარი მოქმედებებისას დაიწვა. ბევრი სახლი და ბინა კი გამიზნულად იქნა ცეცხლს მიცემული მცხოვრებლების გაძევებისა ან შურისძიების მიზნით. ასევე როგორც მკვლელობები, ეს აქტებიც არჩევით ხორციელდებოდა. ხან კი ძარცვა-იაფაღობის მსგავსი ნებისმიერი მოქალაქე შეძლებდა გამხდარიყო. მაგალითისათვის გამოდგება 1992 წელს მხედრიონის ოჩამჩირეში შესვლის ფაქტი.

24. კომისიისათვის ცნობილია

გახდა, რომ 1992 წლის აგვისტოში, როცა ქართული ჯარი შეიჭრა აფხაზეთში, იგი არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო იურიდიული მხარდაჭერით, მიმართავდა ძალადობას საკვების მოსაპოვებლად. მრავალი თვითმხილველი ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ქართული მოსახლეობა ამ შენაერთების იქ ყოფნისას ისევე დაზარალდა, როგორც აქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

25. სოხუმსა და სხვა ქალაქებში, სოფლად, ყველა სახლი, რომელიც არ იყო დანგრეული, გამონაკლისის გარეშე გაიძარცვა. კომისიამ მიიღო მრავალრიცხოვანი ცნობები და თვითმხილველთა დაახლოებითი აღრიცხვები იმ

აფხაზეთის კონტროლის ქვეშ მყოფ რეგიონში ქართველების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ დაქირავებულები, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიელები, რომლებიც აფხაზთა გვერდით იბრძოდნენ. აფხაზთა ძალები აგრეთვე ცნეს დამნაშავედ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებში.

12. თავისი ვიზიტის განმავლობაში აფხაზეთსა და თბილისში კომისიას ინფორმაციის დიდი ნა-

ირდაპირი მხილების სახით მიიღო ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლთა და თვითმხილველთაგან.

სანამ შესაძლებელი იყო, კომისია აწარმოებდა დამღლელ გამოძიებას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების ჭეშმარიტების დასადგენად და დამნაშავეთა და დანაშაულის მოტივების გამოსავლენად; ნათელი გახდა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა მოხდა აფხაზეთში და ეჭვგარეშეა, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

II ადამიანის უფლებების დარღვევები

13. დროის ნაკლებობის გამო კომისიამ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა მოვლენებზე, რომლებიც 1992 წლის აგვისტოს შემდეგ განვითარდა და ეხებოდა ადამიანის უფლების დარღვევას. იმ საქმეთა დიდი ნაწილი, რომელიც კომისიამ გამოიძია მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ეხება ადამიანის უფლებების დარღვევას; სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას; გარანტიებს წამებისა და სასტიკისაგან თავის დასაღწევად, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან, [illegible] თხვევებს, [illegible] ულისაგან [illegible] და, აგრეთვე, კერძო საკუთრებ[illegible] საკითხებს. მოქალაქეთა მასიური, აძულებითი გადასახლება განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო.

• მკვლელობები გასამართლების გარეშე ჩადენილია ორივე მხარის რეგულარული ჯარის წევრების, აგრეთვე მათ მხარეზე მებრძოლი მოქალაქეების, არარეგულარული ჯგუფებისა და შეიარაღებული ბანდების მიერ. კომისიამ ვერ შეძლო შეეგროვებინა სანდო ინფორმაცია მსხვერპლთა საერთო რაოდენობის შესახებ.

15. დიდი რაოდენობით დარღვევები ხდებოდა ჯარებისა და შეიარაღებული ჯგუფების გადაადგილებისას, რაც [illegible] სას, ასევე უკანდახევისას. თუ ხშირ შემთხვევაში მკვლელობები ხდებოდა არჩევით, კომისიამ მიიღო ფაქტობრივი მასალები იმის შესახებ, რომ ძალადობის აქტები ხდებოდა განურჩევლადაც, მიუხედავად მსხვერპლის ეთნიკური კუთვნილებისა.

16. თუ 1992 წელს, ქართული ძალების აფხაზეთში შესვლისას, აფხაზები სამიზნედ იქცნენ მათთვის, არის ცნობები სომეხ მსხვერპლთა და მათ მიმართ განხორციელებულ უკანონო დასჯების შესახებაც. ამ მკვლელობათა ნაწილს თან სდევდა წამება და სასტიკი მოპყრობა (მაგ.: ცემა, დაწვა, ოქროს კბილების ამოღება და ა. შ.). კომისიამ ამ ფაქტების დამადასტურებელი ჩვენებები მიიღო.

17. ოჩამჩირეში კომისიამ დაადგინა ფაქტები, რომ მკვლელობებს სჩადიოდნენ ადგილობრივი ქართველი მაცხოვრებლებიც, ხან ჯარისკაცებთან ერთად, ხანაც კი მათ გარეშე. ძალადობის თვითმხილველნი ამტკიცებდნენ, რომ 1992 წელს „მხედრიონი“ სჩადიოდა მკვლელობებს განურჩევლად, მიუხედავად მსხვერპლის ეთნიკური წარმოშობისა.

18. [illegible] ადგილებისას, [illegible] ბის მიერ, როგორც [illegible] ლი კონფლიქტის [illegible] ბაში, ასევე მას შემდეგ, [illegible]

[illegible] მკვლელობებს არაერთ მოითმენდა. თუმცა, იგივე ხელმძღვანელობის თქმით, ჯარისკაცები, რომლებსაც პასუხიმგებლობა ეკისრებოდათ ჩადენილისათვის, დადგენილი არ არიან.

20. მრავალმა თვითმხილველმა აჩვენა, რომ როდესაც აფხაზური ძალები გადაადგილდნენ სამხრეთისაკენ 1993 წ. სექტემბერში, პირველ შენაერთებს არ გამოუჩენიათ სისასტიკე მოქალაქეთა მიმართ. პირიქით, ისინი აფრთხილებდნენ მოსახლეობას, რომ გამოეჩინათ სიფრთხილე, რადგანაც შენაერთები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, ძარცვავდნენ და ყაჩაღობდნენ. წვავდნენ სახლებს და ხოცავდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ვინმეს ხელი შეეშალა ამ შენაერთებისათვის თავისი ქმედებების განხორციელებაში.

21. მას შემდეგ, რაც აფხაზმა ხელმძღვანელობამ დაიბრუნა მანამდე ქართული ძალებს ხელში მყოფი ტერიტორიები, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები გაგრძელდა. შეიარაღებული ბანდები აწარმოებდნენ მოსახლეობის ტერორს ქალაქსა და განსაკუთრებით სოფლად, იქ, სადაც არ იყო არც აფხაზური არმია და არც მილიცია, რომელიც უზრუნველყოფდა ეუკეტურ დაცვას. მხოლოდ [illegible] ვახდა შესაძლებელი ამ [illegible] ყვანა სოფლის დამცველ [illegible] ბის კონტროლის [illegible] ბ. შენაერთები ჩამოყალიბდა

ლთაა იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მიუთითებდნენ აფხაზ ჯარისკაცთა მიერ ქალთა გაუპატიურების ფაქტებზე. ქართული ჯარების მხრიდან იგივე დანაშაულების ჩადენის შესახებ ცნობები კომისიამ მიიღო, მაგრამ მათი დადასტურება ვერ მოხერხდა. კომისია ესაუბრა, აგრეთვე, რამოდენიმე ყოფილ პატიმარს, რომლებიც ადასტურებენ, რომ იყვნენ სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი როგორც აფხაზთა, ასევე ქართველთა მხრიდან. [illegible] ბის [illegible] რამოდენიმე დამკვირვებელმა აღნიშნა, რომ პატიმართა მცირე ნაწილი აყვანილ იქნა შეიარაღებული დაპირისპირების დროს.

ბ. საკუთრებაზე უფლებების დარღვევა, ბინებისა და სახლების ძარცვა და დაწვა

23. აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის პირველ ეტაპზე ასევე უხეშად ირღვეოდა უფლებები კერძო საკუთრებაზე. ათასობით ადამიანმა დაკარგა სახლი, ბინა და სხვა სახის საკუთრება. ძალზე დიდია იმ დარღვევათა რიცხვი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ორივე მხარის შეიარაღებული ძალების, ქართველთა თუ აფხაზთა წინსვლისა და უკანდახევის დროს. შენობების უმეტესობა საომარი მოქმედებებისას დაიწვა. ბევრი სახლი და ბინა კი გამიზნულად იქნა ცეცხლს მიცემული მცხოვრებლების გაძევებისა ან შურისძიების მიზნით. ასევე როგორც მკვლელობები, ეს აქტებიც არჩევით ხორციელდებოდა. ხან კი ძარცვა-იაფაღობის მსგავსი ნებისმიერი მოქალაქე შეძლებდა გამხდარიყო. მაგალითისათვის გამოდგება 1992 წელს მხედრიონის ოჩამჩირეში შესვლის ფაქტი.

24. [illegible]

[illegible] ბაზე 7-ე გვერდზე

ვკასიიდანაა. აქ შეხვდებით ჩეჩნებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებსა და სხვებს. ბევრ მათგანს ჯილდოს დაჰპირდნენ ფულისა და სხვადასხვა სიკეთის სახით. ხოლო როცა ნათელი გახდა, რომ აფხაზებს არ შეეძლოთ დანაპირების განხორციელება, მათ ძარცვა-ყაჩაღობა დაიწყეს.

29. გულრიფშის მოსახლეობისგან კომისიისათვის ცნობილი გახდა, რომ ძარცვა-ყაჩაღობა და ხანძრები რამოდენიმე ტალღად ხდებოდა. ჯერ რეგულარული აფხაზური არმიის ჯარისკაცები მოითხოვდნენ იარაღს, ფულსა და ოქროს. შემდეგ კი მათ მიჰქონდათ ავეჯი, მანქანები და ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა. მათ მოჰყვებოდნენ დაქირავებულები დაპირებული ჯილდოს ასანაზღაურებლად. ბოლოს კი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ბრძოლებში, ჩაივლიდნენ, ძარცვავდნენ, წვავდნენ და ხოცავდნენ. აფხაზ და სომეხ მოროდიორთა ბანდები ძარცვავდნენ პერმანენტული შიშის ქვეშ მყოფ მოსახლეობას, არ აძლევდნენ ფერმერებს უფლებას დაემუშავებინათ მიწა.

კომისიის ადგილზე ყოფნისას იარაღის სროლა რამოდენიმეჯერ სულ ახლოს გაისმა.

2. სახლებისა და ბინების უკანონო დაკავება

30. კომისიამ მიიღო ჩვენებები ბინებისა და სახლების უკანონო დაკავების შესახებ, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. ხშირად ეს ხდებოდა იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით. ასეთი სახის დანაშაულს ადგილი ჰქონდა შეიარაღებული კონფლიქტისას და ცეცხლის ხანმოკლე შეწყვეტის პერიოდებშიც. მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ბინები, სახლები, უკვე აღარ აქვთ კერძო საკუთრების დაბრუნების იმედი. ამის შესახებ კომისიას რამოდენიმე მათგანმა აცნობა.

31. შეიარაღებული კონფლიქტისას ბევრი სახლი დატოვებული იქნა უპატრონოდ. თუ ეს შენობები არ არის დანგრეული, მათ უკვე სხვები დაჰპატრონებიან. დღესდღეობით რამოდენიმე ნამდვილი მესაკუთრე თუა დაბრუნებული ადგილზე და ცდილობს მიიღოს თავისი ქონება. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ყველა ასეთ შემთხვევას განსაკუთრებული ყურადღებით გამოიძიებდა და დამნაშავე გამოძევებული იქნებოდა.

32. კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციით (თუმცა მისი დადასტურება არ მოხერხდა) ხალხი, რომელიც ტოვებდა აფხაზეთს, აიძულეს ხელი მოეწერათ დეკლარაციისათვის, რომლის თანახმადაც მთელი მათი საკუთრება მათივე სურვილით გადაეცემოდა აფხაზ ხელმძღვანელობას. რამოდენიმე იძულებით გადაადგილებულმა პირმა კომისიის წევრებთან საუბრისას განაცხადა, რომ ასეთ საბუთზე ხელი არ მოუწერია. თუმცა სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ კონფლიქტის ადრეულ სტადიაში ასეთი პრაქტიკა არსებობდა.

33. მათთვის, ვინც დროებით ტოვებს საცხოვრებელ ადგილს, გარანტიები, რომ უძრავი ქონება დაცული იქნება, არამყარია. აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა რამოდენიმეჯერ განაცხადეს, რომ პატივს სცემენ მესაკუთრეთა უფლებებს და მათ დაუბრუნებენ დაკარგულ ბინებსა და მანქანებს. ითქვა, რომ ხდებოდა მოქალაქეთა ზარალის წინასწარი გაანგარიშება, რათა სახელმწიფომ იღონის დროებითი მეურვეობა მათზე. ამჟამად წამსვლელებს კი უუბნებიან, რომ დაუტოვონ გასაღებები მეზობლებს, რათა ამ უკანასკნელებმა ყურადღება მიაქცევონ ბინებს. თუმცა კომისიამ მიიღო სარწმუნო ცნობა, რომ არაერთი მიტოვებული ბინა დაკავებულია სხვა რეგიონებიდან გადაადგილებულ პირთა მიერ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩრდილო კავკასიელებმა, რომლებიც აფხაზთა მხარეს იბრძოდნენ, დაისაკუთრეს ბინები, როგორც კუთვნილი ჯილდო ბრძოლის დროს გაწეული დახმარებისათვის და ჩასახლდნენ აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ამის შესახებ არაერთი ცნობა მიიღო, ჯერჯერობით ამის დამტკიცება არ მოხერხდა.

დ. იძულებითი გადაადგილება

34. შეიარაღებული კონფლიქტისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიატოვა თავისი სახლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების მთავარი რწმუნებულის ინფორმაციით 250 000 ასეთი უკანონო გაძევებაა აღნიშნული. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც 1992 წლის შემდეგ აფხაზეთიდან ორჯერ ან სამჯერ იქნენ გამოძევებულნი. საქართველოს ოფიციალური მონაცემებით 1993 წლის 1 სექტემბრისათვის აღრიცხულია 152 000 ლტოლვილი.

35. 1993 წლის 27 ივლისს, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი იყო სოჭში, ლტოლვილთა ნაწილი დაბრუნდა სოხუმში, რომელიც ამ დროისათვის ცოცხალ ქალაქად ითვლებოდა. ბაზარი და სხვა აქტიური წერტილები ზაფხულის განმავლობაში განახლებას იწყებდა. თუმცა 1993 წლის სექტემბერში ბრძოლის განახლებამ ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია. დამკვირვებლებმა და თვითმხილველებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულების დარღვევამ ლტოლვილთა რწმენასა და იმედს, რომ უახლოეს მომავალში დაბრუნდებოდნენ აფხაზეთში, ნიადაგი გამოაცალა. მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ძალებმა აიღეს სოხუმი, ქართული მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა გუმისთასა და ენგურს შორის, სცადა გაქცეულიყო აფხაზთა შენაერთების შემოსვლამდე. ზოგიერთი მათგანი კი, რომელიც აქ დარჩა, აფხაზებმა დახოცეს, როდესაც ხელში ჩაიგდეს ოჩამჩირის რ-ნის სოფლები და ქალაქები.

36. აფხაზეთის მთავრობამ აცნობა კომისიას 1993 წლის 27 სექტემბრისათვის, როცა მათი ჯარები შევიდნენ სოხუმში, რომ ქალაქის მოსახლეობა ითვლიდა 50 000 კაცს, ნაცვლად წინანდელი 150 000-სა. 20 000 კაცი სოხუმში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც აფხაზებმა აიღეს ქალაქი, 2 500-მა კი გადაწყვიტა დაეტოვებინა იგი. ოჩამჩირის ადგილობრივი ხელმძღვანელობის ინფორმაციით კი 1993 წლის ოქტომბერში მოსახლეობა 85 000-დან 8 000-მდე შემცირდა, აქედან მხოლოდ 1 000 იყო ქართველი. დამკვირვებლებმა, რომლებიც იყვნენ გალში, აღწერეს იგი, როგორც „მკვდარი ქალაქი“, სადაც 200, 300 კაციღა იყო დარჩენილი. ოჩამჩირესა და გალის რ-ნში, რომელთა მოსახლეობას ძირითადად მეგრელი ქართველები შეადგენდნენ, მთლიანად დაცლილია.

37. ზოგიერთი მათგანი, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი 1993 წლის სექტემბერში, ევაკუირებულნი იყვნენ გემებისა და საჰაერო ტრანსპორტის საშუალებით. დანარჩენები კი დაადგნენ გზას სოხუმიდან ოჩამჩირისა და გალის ზემოთ, მდინარე ენგურის ნაპირის გასწვრივ, ქალაქ ზუგდიდისაკენ. ხალხი, რომელმაც დატოვა სოხუმის აღმოსავლეთი ნაწილი, გულრიფშის რაიონი და ოჩამჩირის დასავლეთი ტერიტორიები, იძულებული იყო თავი შეეფარებინა სვანეთის მთიანი რეგიონისთვის. თუ ზოგირთმა მათგანმა შესძლო გადაელახა საქართველოს მთიანი ნაწილი სვანეთი, მესტიის გავლით თბილისისაკენ გაეშურა, ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ სვანეთშია. მათი სიტუაცია კომისიამ შეაფასა როგორც კატასტროფული. გარდა სიცივისა, თავშესაფარის ექონლობისა და კარს მომდგარი ზამთრისა, ისინი შეიარაღებული ბანდიტების თავდასხმებისგანაც იტანჯებოდნენ. ლტოლვილები ჰუმანიტარული დახმარების სახით იღებდნენ საკვებსა და საბნებს, რაც მათ უკრაინისა და რუსეთის ვერტმფრენებით ეგზავნებოდათ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და რუსეთ-უკრაინის დამხმარე ვერტმფრენებმა მოახდინეს ლტოლვილთა გარკვეული რაოდენობის ევაკუაცია. კომისიამ მიიღო ინფორმაცია, რომ იძულებული გადაადგილებულ პირთა ნაწილი ტყეებში იმალებოდა და ვერ ბედავდა ვერტმფრენებთან მისვლას ჰუმანიტარული დახმარების მისაღებადაც კი. მათ მძარცველებისაც ეშინოდათ. ნათელია, რომ მათი მდგომარეობა გაძლიერებულ ჰუმანიტარულ დახმარებას მოითხოვს.

38. კომისიამ, აგრეთვე, მიიღო ბრალდებები იძულებითი დეპორტაციის შესახებ, რომელიც კონფლიქტის ორივე მხარის მიერაა ჩადენილი. ზოგიერთი პირი იძულებული იყო ხელი მოეწერა დეკლარაციისთვის, რომლის თანახმადაც იგი „საკუთარი ნებით“ ტოვებდა საცხოვრებელ ადგილს და არასოდეს დაბრუნდებოდა უკან. ზოგიერთს კი პასპორტებში გაუუქმეს ჩაწერა (პროპისკა), რაც ხელს შეუშლიდა მათ აფხაზეთში დაბრუნებას. კომისიამ ნახა ფოტოასლები „საკუთარი ნებით“ ემიგრაციის დეკლარაციისა და ჩაწერაგაუქმებული პასპორტებისა, მაგრამ მას არ მიეცა შესაძლებლობა გასაუბრებოდა მათ პატრონებს. რამოდენიმე იძულებით გადაადგილებულმა პირმა აღნიშნა, რომ ეს თავს მოხვეული მოთხოვნა დეკლარაციაზე ხელმოწერისა და ჩაწერის გაუქმებისა, აფხაზ ხელმძღვანელობას პრაქტიკაში ჰქონდა 1992 წლის 2 ოქტომბრიდან.

39. „პროპისკასთან“ დაკავშირებით საინტერესოა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის კანონების თანახმად „პროპისკა“ ავტომატურად უქმდება, თუ პირი ექვს თვეზე მეტ ხანს სტოვებს თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. აფხაზმა ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ დაუშვებს გამონაკლისს იმ პირთათვის, რომლებმაც დიდი ხნით დატოვეს საცხოვრებელი ადგილი საომარი მდგომარეობის გამო. თუმცა, ჩანს, რომ დღესდღეობით არ არის სანდო გარანტიები იძულებულ პირთა დაბრუნებისათვის.

40. ქართველებმა და სხვა არააფხაზებმა უნდა მიმართონ სამხედრო ტყვეთა და სოხუმის სამოქალაქო მოსახლეობის უფლებათა კომისიას და აცნობონ მას სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი სოხუმში და გამგზავრების სასურველი თარიღი. სამხედრო სავალდებულო ასაკს მიღწეულმა ყველა ქართველმა უნდა გაარკვიოს ყველაფერი უშიშროების სამსახურთან, რათა დაამტკიცოს, რომ არ მონაწილეობდა ანტიაფხაზურ მოქმედებებში. ყველას, ვინც მოიპოვებს ასეთ საბუთს, ისევე როგორც ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ავტობუსით მიიყვანენ მდ. ენგურის ხიდამდე, საიდანაც ისინი ფეხით აგრძელებენ თავის მოგზაურობას სამეგრელოსკენ. კომისიამ მიიღო ჩვენება, რომელიც ეწინააღმდეგება აფხაზური ხელისუფლების რწმუნებებს და მიუთითებს, რომ ქართველებს ეშინიათ, მათ ადგილზე მისცემენ უკან დაბრუნების უფლებას, თუ ისინი გაივლიან საჭირო საემიგრაციო პროცედურებს. შედეგად ზოგიერთი მათგანი ცდილობდა ფარულად დაეტოვებინა ტერიტორია.

41. ამ აუცილებელ პროცედურასთან დაკავშირებით აფხაზეთის დატოვების მსურველთა რიცხვი შემცირდა. თუმცა 20-დან 30 ქართველამდე, რუსები და სომხები ყოველდღიურად ტოვებენ ტერიტორიას და მიემგზავრებიან ავტობუსებით, რომლებიც აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერაა გამოყოფილი.

42. კომისიასთან საუბრისას ნათლად წარმოჩინდა საყოველთაო შიშის ატმოსფერო, რომელიც გამეფებულია აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში. ამასვე ამტკიცებს რამოდენიმე დამკვირვებელი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა აღწიშნულ ტერიტორიაზე. ეს შიში, როგორც ჩანს, დაფუძნებულია წინა გამოცდილებისა და სისასტიკეთა ვრცელ სპექტრზე, რომელთაც „კონფლიქტისას“ ადგილი ჰქონდათ და არაერთ მოარულ ჭორზე. კონფლიქტში ჩათრეული თითოეული მხარე ადანაშაულებს მეორეს სიძულვილის გაღვივებაში მას მედიაში პროპაგანდისა და პოლიტიკოსთა გამოსვლების საშუალებით, რაც კიდევ უფრო აღვივებს შიშისა და დაცველობის შეგრძნებას.

III
ადმინისტრაციული და იურიდიული საშუალებები

43. დღეს პრაქტიკულად არ არსებობს ხელმისაწვდომი ზომები მსხვერპლთათვის, ადამიანის უფლებების მომავალი დარღვევების თავიდან ასაცილებლად და საკუთრებაზე უფლებების აღსადგენად. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კომისიამ აფხაზი ხელმძღვანელობისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ოფიციალური საჩივრის შეტანა, რომელიც განიხილება. შესაბამისად, უკანონო დამკავებლები გამოძევებულნი იქნებიან და საკუთრება დაუბრუნდება პატრონთ. თუმცა სინამდვილეში ხალხს ეშინია ხელმძღვანელობას მიმართოს. კომისიას აქვს, აგრეთვე, ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ სახლებში უკანონოდ შეჭრილებმა დააშინეს ნამდვილი პატრონები, რომ ცეცხლს მისცემენ მათ ბინებს, თუ ეს უკანასკნელნი საჩივრით მიმართავენ ხელმძღვანელობას.

44. კომისიას არ მიუღია სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიმართავდა ან ერთი, ან მეორე მხარე, აფხაზეთი თუ საქართველო, ადამიანის უფლებათა დამრღვევი პირების სამართლისათვის გადაცემასთან

დაკავშირებით. რამოდენიმე საქმე იმ პირთა, რომელთაც ბრალად ედებათ მკვლელობა, ძარცვა-ყაჩაღობა, გაუპატიურება და ხანძრისგაჩენა, გამოძიებაშია აფხაზეთში. სისხლის სამართლის საქმე, აგრეთვე, აღძრულია აფხაზეთის რეგულარული ჯარის რამოდენიმე წევრზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ჟიური შარტავას საქმე, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბრის მერე იყო მოკლული, ქართული მთავრობის მიერ განსაკუთრებული სიმძიმის საქმედაა მიჩნეული. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ განუცხადა კომისიას, რომ ყველა ღონეს იხმარდა იმ გამოძიების გასაძლიერებლად, რომელიც დღესაც გრძელდება.

IV. კანონები და წერილები

45. ყველა იძულებით გადაადგილებულმა პირმა, რომელთაც კომისიას ჰქონდა შეხვედრა, განაცხადა, რომ მათი აფხაზეთში დაბრუნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კანონიერებისა და წესრიგის აღდგენა, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები. როგორც ადრე აღინიშნა, დღესდღეობით ეს პირობა შორს არის რეალობისაგან. აფხაზეთმა თავის მხრივ რამოდენიმეჯერ განაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერს, რაც მას ძალუძს კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად. მათ აღიარეს, რომ ადამიანის უფლებები ადრეც ირღვეოდა და დღესაც გრძელდება ეს პროცესი. ისინი არ უარყოფენ, რომ ჯარისკაცები დამნაშავენი არიან მკვლელობებში. და მართლაც, გაიცა რამოდენიმე ბრძანება (№ 281 1993 წ. 17 აგვისტო, № 197 23 აგვ. 298 1 სექტ. 1993 წ.) იმ ზომების შესახებ, რომელთა გატარებაც აუცილებელია შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის ამაღლების მიზნით. ეს კი აუცილებელი გახდა იმ არაერთი ინციდენტის შემდეგ, როცა უკანონოდ გამოყენებულმა ცეცხლსასროლმა იარაღმა მსხვერპლი გამოიწვია. მოროდიორთა და მძარცველთა ბანდები კვლავ გაურბიან პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელობამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ჰგმობს ყველა კრიმინალურ ქმედებასა და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს. მას შემდეგ, რაც სოხუმზე კონტროლი განახლებული იქნა, რამოდენიმე უშიშროებაზე პასუხისმგებელი პიროვნება გადააყენეს არარეგალურ აქტებში მონაწილეობის გამო.

ხელმძღვანელობამ აღიარა თავისი უუნარობა სიტუაციაზე კონტროლის წარმოებაში დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, როცა მილიცია ფაქტიურად ჩამოუყალიბებელია, კომუნიკაციები არასაკმარისია, ელექტრობა არ არის, ხოლო კანონები და დეკრეტები საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ არ ვრცელდება საწვავისა და ქაღალდის ნაკლებობის გამო.

46. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ გამოსცა რამოდენიმე ბრძანება კანონებისა და წესრიგის აღსადგენად, რომლებიც ითვალისწინებს კანონის აღმასრულებელ პირთა მიერ უკიდურეს შემთხვევებში იარაღის გამოყენების უფლებას. № 287 ბრძანება (1993 წ. 10 ოქტომბერი) ეხება ომის დამნაშავეებს, ქურდებსა და მძარცველებს, მის თანახმად შეიარაღებული პიროვნება, თუ იგი წინააღმდეგობას გასწევს დაკავებისას, დახვრეტილი იქნება ადგილზე. იგივეა 1993 წლის 11 ოქტომბრის № 288 ბრძანებაში გალის რეგიონისათვის. ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ უკანონო იარაღის ამოღების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო. აფხაზეთში ყოფნისას კომისიამ ნახა არაერთი ავტომატური იარაღი, რომელსაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ატარებდნენ ქალაქებსა და სოფლებში. სოხუმში სროლა ხშირად ისმოდა დღითა და ღამით. ის ფაქტი, რომ მილიციის ყველა თანამშრომელი არ ატარებს ფორმას, ართულებს იმის დადგენას, აქვს თუ არა იარაღის ტარების უფლება ყველას, ვინც ამას აკეთებს.

47. აფხაზეთის ხელმძღვანელებმა მიუთითეს, რომ დიდი სიამოვნებით შეხვდებოდნენ იძულებით გადაადგილებულ პირების აფხაზეთში დაბრუნებას. გამოქვეყნებული დეკრეტი დასაბრუნებლად იწვევდა რუსებს, თურქებს, ბერძნებს, ებრაელებსა და სომხებს. ქართველებს მიესალმებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იბრძოდნენ აფხაზთა წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქართველთა უკან დაბრუნების დაუყოვნებლივ განხორციელება არ შეიძლება, ვინაიდან ხელმძღვანელობას არ შეეძლო მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დღევანდელ ვითარებაში. მათ, აგრეთვე, აცნობეს კომისიას, რომ შეხვედრა აფხაზეთის წარმომადგენლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, რომელთაც გალის რაიონში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს, დაგეგმილი იყო 1993 წლის 25 ოქტომბრისათვის.

კომისიას არ მიუღია რაიმე სარწმუნო ინფორმაცია ამ შეხვედრის შედეგების შესახებ. 1993 წლის 20 ოქტომბერს კომისიამ № 89 დეკრეტით გადაწყვიტა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საქმის წინ წაწევა.

V დასკვნები და რეკომენდაციები

ა. დასკვნები

48. ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევები ჩადენილ იქნა აფხაზეთის ჯარებსა და საქართველოს სამთავრობო ძალებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების დღიდანვე (1992 წ. 14 აგვისტო). ეს დარღვევები დღესაც გრძელდება. კომისია შეშფოთებულია ძალადობათა იმ ფართო სპექტრითა და საყოველთაო ნგრევით, რომელიც ამ კონფლიქტმა გამოიწვია.

49. მოქალაქეები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, ყოფილი მეომრები, რომლებიც აღარ იღებენ მონაწილეობას შეიარაღებულ კონფრონტაციებში, გახდნენ სიცოცხლის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრებაზე უფლებების დარღვევის მსხვერპლნი.

50. მსხვერპლი არის აფხაზეთის მოსახლეობის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის.

51. საქართველოს სამთავრობო ძალებს, ისევე როგორც აფხაზურ ჯარებს, არარეგულარულ ფორმირებებს, მათ ხელშეწყობათა და თანამოაზრე მოქალაქეთა ჯგუფებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევებისათვის.

52. გარდა უამრავი დაკარგული სიცოცხლისა, კონფლიქტმა გამოიწვია სახელმწიფოს ვრცელ ტერიტორიაზე საყოველთაო ნგრევა, მოსახლეობის მასიური, იძულებითი გადაადგილება, სიძნელეები და ტანჯვა. არის ნიშნები, რომ ქართველთა მიერ გუმისთასა და ენგურს შორის ტერიტორიის მართვისას დიდი რაოდენობით აფხაზმა დატოვა რეგიონი. გალი და ოჩამჩირე ამჟამად მიტოვებულია თითქმის მთლიანი ქართული (მეგრული) მოსახლეობის მიერ, რომელიც იქ უმრავლესობას წარმოადგენდა და ჩანს, რომ ქართველების უმეტესობამ სოხუმიც მიატოვა. მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ ვერ შეძლო იმის დადგენა, იყო თუ არა რომელიმე მხარის ხელმძღვანელობის აქტიური პოლიტიკა გამიზნული, რომ მათი კონტროლის ქვეშ მყოფი რეგიონი გაეწმინდა აფხაზური ან ქართული მოსახლეობისაგან. მხოლოდ შემდგომ გამოძიებასა და შეფასებას შეუძლია დაადგინოს რელევანტური ფაქტები და გააკეთოს დასკვნა. კონფლიქტის მძაფრმა ხასიათმა, სახლებისა და ბინების დანგრევამ, პირადი დაუცველობის ღრმა შიშმა, უკანონობისა და ძალადობის პირობებმა უდაოდ შეუწყო ხელი მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას.

53. კომისიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ყველა ინტერვიუირებული ლტოლვილი ამტკიცებდა, კონფლიქტის დაწყებამდე მშვიდობიანად ცხოვრობდა მეზობლებთან. ბევრმა მათგანმა ისიც აღნიშნა, რომ შეიარაღებული შეტაკების დროს აფხაზმა სოფლელებმა შეიფარეს და დაიცვეს ქართველი მეზობლები და პირიქით. ყველა ლტოლვილი, გამონაკლის გარეშე, აცხადებდა, რომ სურდა აფხაზეთში დაბრუნება, თუმცა მათ ისიც თქვეს, რომ ეს იმ დროისათვის იქნებოდა სერიოზული მსჯელობის საგანი, როცა სიტუაცია გამოსწორდებოდა და მათი უსაფრთხოება და დაცვა გარანტირებული, უეჭველი იქნებოდა.

ბ. რეკომენდაციები

54. თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებები აღდგება და მათი დაცვა უეჭველი იქნება, სავალდებულოა შემდეგი ზომების გატარება:

55. გამოძიება უნდა ჩატარდეს კონფლიქტში ჩაბმული ორივე მხარის მიერ, ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ბრალდების მიხედვით ვითარების გარკვევის მიზნით და დამნაშავეთა დასადგენად. ისინი, ვინც მონაწილეობდნენ დანაშაულებათა დაგეგმვაში და ადამიანის უფლებების დარღვევაში, უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ მიუხედავად მათი რანგისა.

56. მსხვერპლთათვის და უკანონოდ დასჯილთა ოჯახებისათვის გარანტირებული იყოს კომპენსაცია.

57. ადამიანის უფლებების დარღვევის აღკვეთის მიზნით მიღებული იქნას ზომები, რათა უშიშროების ძალებმა მოვალეობის შესრულებისას შეზღუდონ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევები ადამიანის უფლებების დაცვის აღდგენის წინაპირობის ნიშნად. უშიშროების ძალებმა და კანონიერების დამცველებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ადამიანის უფლებები. ამასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის აღსაკვეთად ყველაზე ეფექტური ღონისძიება იქნება, რომ ყველა ამაში დამნაშავემ პასუხი აგოს.

58. მათ, ვისი კონტროლის ქვეშაცაა ტერიტორია, უნდა დაამყარონ და უეჭველი გახადონ კანონიერება და წესრიგი; ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დღესაც იტანჯება ბანდიტთა თავდასხმებისაგან; გარდა ამისა, ისინი, ვინც უკანონოდ იარაღს ატარებენ, უნდა განიარაღდნენ.

59. აგრეთვე უნდა იყოს გარანტირებული საკუთრებაზე უფლებების დაცვა. ყველა უკანონოდ დაკავებული სახლი და ბინა დაუბრუნდეს მათ ნამდვილ პატრონებს. ფორმალობათა და საშშენებლო მასალით იყვნენ უზრუნველყოფილნი ისინი, ვისი სახლებიც დაინგრა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

60. იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნების უფლება გარანტირებული უნდა იყოს. მათი „პროპისკის" ძალაში ყოფნა უეჭველი იყოს. აქვს თვეზე მეტი ხნის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არყოფნის შემთხვევაშიც კი. საერთაშორისო საზოგადოება დაეხმაროს აფხაზეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობას, რომ ლტოლვილთა დაბრუნება შესაძლებელი გახდეს. განსაკუთრებით საჩქაროა გადაწყდეს მათი ბედი, ვინც ჯერ კიდევ სვანეთის მთებში იმალება.

61. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მზად არის შექმნას ყველა პირობა ლტოლვილთა დაბრუნებისათვის, ასე რომ, მათი უშიშროება შეიძლება გარანტირებულ იქნას. მათ, აგრეთვე, დაარწმუნეს კომისია, რომ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, ითვლება აფხაზეთის მოქალაქედ. საერთაშორისო საზოგადოებამ უშუალოდ უნდა უხელმძღვანელოს ამ განცხადებათა განხორციელებას. საერთშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა ყოფნამ შესაძლოა დადებითი შედეგი გამოიღოს მშვიდობიანი მოსახლეობის უშიშროებისა და უფლებების დაცვის აღდგენის საქმეში. ისინი, ვინც უხელმძღვანელებენ ადამიანთა უფლებების დაცვას აფხაზეთში, ბევრი რამის გაკეთებას შესძლებენ ამ მიმართებით.

62. შესაბამისი ხელმძღვანელობების უშუალო მოვალეობაა გაატარონ ზომები აფხაზეთის მოსახლეობის ნებისმიერი ჯგუფების შერიგებისათვის და შექმნან ყველა პირობა ლტოლვილთა დაბრუნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. ორივე მხარემ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი სახის პროპაგანდისაგან, მანიფესტაციებისაგან, რომელთაც შეუძლიათ გააღვივონ ეროვნული სიძულვილი ან გამოიწვიონ დისკრიმინაცია ეთნიკურ საფუძველზე. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები გამოიყენონ როგორც შერიგების ხელისშემწყობი იარაღი.

63. ადამიანის უფლებების პატივისცემის გარანტიები მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული იქნება იმ საყოველთაო შიშის და დაუცველობის ატმოსფეროს განეიტრალებაზე, რომელიც დღესდღეობით შემაშფოთებლად ძლიერია აფხაზეთში. ორივე მხარემ უნდა მოძებნოს კონფლიქტის სწრაფი პოლიტიკური გადაწყვეტა, რაც მისცემს მათ სიტუაციის ნორმალიზაციის საშუალებას. საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაეხმაროს მათ ამ მცდელობებში.

ინგლისურიდან თარგმნა
ხათუნა კვესელავამ

... გვეცლება ქართლი თვალდახელშუა

დასასრული

სწორედ ოსთათვის მარქსისტული ბიდეოლოგიის ერთგულებისათვის, საქართველოს მეორედ დაპყრობაში დადებული წილისათვის ბოძებული ავტონომიური ოლქი იყო, რომელიც ოსებმა თავიანთი კულტურის, ენის, ეროვნული თვითმყოფადობის ამაღლებისათვის კი არ გამოიყენეს, არამედ რუსეთის იმპერიის ფორპოსტად გადააქციეს არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. ბბორიეენებისაგან ამ მიწის გაწმენდა გახლდათ ამ ფორპოსტის შენების ერთ-ერთი ქვაკუთხედი და ესეც ქართველი კომუნისტების დანაშაულებრივი წაყრუებით წარმატებით იქნა განხორციელებული.

ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე უამრავი ქართული ტოპონიმი ან შეიცვალა ან დამახინჯდა, ისე რომ თუ ოსურ ეტერადობას ვერ შეიძენდა, ქართული მაინც აღარ შერჩენოდა. ასე იქცა ნადარბაზეკი — ნადარეაზად, უამური — ძიმირად; ბურტასშვილი — ბრიტათად. ბევრი მათგანი უბრალოდ ითარგმნა და გაწნდა სიდღაგდონ — წყალწმინდას ნაცვლად (სიდღაგ — წმინდა, წყალი — დონ); თეთრი წყალის ნაცვლად ურს დონ (ურს — თეთრი); ახალსოფლის ნაცვლად ნოგყაუ (ნოგ — ახალი, ყაუ — სოფელი) და ვინ იცის კიდევ რამდენი ამისთანა.

1921 წლიდან ქართველთა საკუთარი სამკვიდროდან აყრა უკვე კავკასიონის მთიხწინებიდან კი არა, აგერ აქვე გორზე თითქმის ზედიკრული პატარა ქალაქ ცხინვალიდანაც და მისი შემოგარენი ქართული სოფლებიდან დაიწყო. სწორედ იმ სოფლებიდან, რომლებიც ოლქის დაარსებას თავგამეტებით აღუდგნენ წინ, მაგრამ ვერაფერს ვახდენენ ორჯონიკიძეებისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ. 1922 წლის აღწერით ცხინვალში 1436 ქართველი და 613 ოსი იყო. ეს მაშინ, როდესაც მეოცე საუკუნის ათიან წლებში სამად-სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა ასეულობით ქართულ, ებრაულ და სომხურ ოჯახს შორის. საბჭოთა ხელისუფლების ერთი წელი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ცხინვალში ექვს ასეულზე მეტი ოსი მოგროვილიყო. სწორედ ასეთი ტემპით გრძელდებოდა მთებიდან დაშვება შემდეგომი 70 წლის მანძილზე.

1926 წელს უკვე 1920 ქართველი და 1452 ოსი სახლობდა ცხინვალში. მესამე, 1959 წლის აღწერით კი ოსთა რაოდენობა სამჯერ და მეტჯერ აღემატება ქართველებისას, რომელთა რიცხვი 4652-ს აღწევდა. სწორედ სამოციანი წლებიდან დაიწყო ცხინვალშიც და საერთოდ, ოლქის ტერიტორიაზე ოსური სეპარატიზმის აღორძინება. ხრუშოვის იმპერიაში ქართველთა დევნით გათამამებულმა ოსურმა „ინტელიგენციამ“ თავი წამოყო, რასაც ხელი შეუწყო სკოლებში რუსულენოვანი სწავლების დანერგვამ და წამოიდა სულით მოწამლული თაობები. დღეს, 30—35 წლის და უფრო ახალგაზრდა ნებისმიერ ოსს რომ უთხრათ ეს საქართველოაო, მერე ველარაფრით დაარწმუნებ შენს ფსიქიურ ჯანმრთელობაში. 1989 წელს დაპირისპირების გამწვავებიდან ერთი წლის შემდეგ და ღია ომის დაწყებიდან ერთი წლის ადრინდელი აღწერით, ცხინვალში უკვე 31537 ოსი და 6905 ქართველი დარჩა. მაღლობა ღმერთს, ქართველმა კაცმა სული ეშმაკს არ მიყიდა, არ გაოსდა. თვით მთის მაღალმთიან სოფლებშიც კი, წმინდა ოსურ გარემოში ჩარჩენილმა გვარი მაინც შეინარჩუნა. ახალგაზრდებს ენა დაავიწყეს, მაგრამ ის მაინც ახსოვთ, რომ სულ ახლო წარსულში ქართველობდნენ მათი მამები. ან შევარდენიძეების, მარიამიძეების, ჯირკვალიძეების ოსობა სად თქმულა. აყრით კი ბევრი აიყარა და საქართველოში საქართველოს მონატრებული ძირითადად გორის და თბილისის ქუჩებში გაითქვიფა.

საქართველოს ამ რეგიონიდან მარტო ქართველი კაცი არ მოდიოდა სამხრეთისაკენ, მოდიოდა ოსიც და პერმანენტულად იპყრობდა სივრცეს საქართველოს დედაქალაქისაკენ, იმ სივრცეს, რომელზედაც ქართველთა საცხოვრებელი არეალის სასიცოცხლო ღერძი გადის. იმავე 1989 წლის აღწერით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მიმდებარე გორის რაიონში, მოსახლეობის თითქმის მესამედს ოსები შეადგენდნენ. ეს იმათი ჩათვლით, ვინც გვარის დაბოლოებად „შვილი“ მიიკერა, მაგრამ სოლომონ ისაკიჩვით „ჯღანი“ ვერ მოიშორა. საუბედუროდ, მათ პასპორტში ეროვნების გამოცვლით ვერც მენტალიტეტი გამოიცვალეს, თუმცა ბევრი საქართველოს ერთგულ შვილად დარჩა, ზარალი მაინც სჯობნის სარგებელს. ასევე დიდი იყო და არის ოსთა წილი ქარელის, მცხეთის და ბორჯომის რაიონის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში. თუ რას ემსახურებოდა ეს მცოცავი კიდევ ცოტაც და საქართველოს გულს მიებჯინებოდა ჩრდილოეთიდან ირანულენოვანი ტომი, სამხრეთიდან კი მათი თურქმანული თანამოძმეები და ახმედ-მაჰმედების თუ ფატიმათ— სალიმათების გადაძახება-გადაკივლებაში ჩაინთქმებოდა ქართული ხმები.

ეს საშიშროება საქართველოს თავიდან არ აუცილებია და დღეს, როცა მოახლოვდა პოლიტიკური კვანძის გახსნის ჟამი მთელი აქტუალურობით კვლავ დადგა ქართლის, მთელი საქართველოს გადარჩენის საკითხი. რამდენჯერაც იცვალა ფერი რუსეთის იმპერიამ, იმდენჯერ შეზღუდა ქართველთა სასიცოცხლო სივრცე და ყოველთვის მუსულმანი ხალხების სასარგებლოდ. ასე იქნება ახლაც. იგი შეეცდება, თუ იურიდიულად ვერ დაარღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დე ფაქტო მაინც მოახერხოს და განვითარება-გაძლიერებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეუქმნას თავის ერთგულ ტომებს. ხოლო ოსი რომ ასეთია ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ ბაყლათარის შთამომავლებს.

თბილისიდან ჩრდილოეთით 40 კმ-ში გადის ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვარი და გაზრდილსტატუსიანი ოსური ადმინისტრაციული წარმონაქმნის სწორედ ამ საზღვრებში დაფიქსირების პრეტენზია გააჩნიათ ოსური სეპარატიზმის მამებს. ეს იქნება საქართველოს სამუდამო დასამარების, დასასრულის დასაწყისი. ეს იქნება იმ რეგიონიდან, რომელსაც ორჯონიკიძის წყალობით „ოსეთი“ ეწოდა, ქართველთა მასიურად ბაყრის დასაწყისი. უნდა ითქვას, რომ დიდი ლიახვის ხეობის, რომელიც ოთხი წელიწადია ყველასაგან მიტოვებული ვაუკაცურად უძლებს ყოველგვარ უბედურებას, მცხოვრებთა შეძლებულმა 40 პროცენტმა უკვე მოახერხა და თბილისში შეიძინა ბინები. როგორც კი იურიდიულად გაფორმდება ოსთა პოლიტიკური უფლებები, ის ხალხი იქ გამწერებელი აღარ არის. საკმარისი კია ამ სოფლებიდან რამოდენიმე ოჯახი გამოუძღეს — და ცხვრის დამფრთხალი ნოტოსავით მოწყდებ[illegible] — [illegible], რომელიც მტერთან ბრძოლამ კი არა, საკუთარი სისხლისა და ხორცის გულგრილობამ უფრო დაღალა.

ოსთათვის პოლიტიკური უფლებების მიცემა დამღუპველია საქართველოსათვის და ქართველი ხალხისათვის, მაგრამ იგი არც ოსებს არ მოუტანს სიკეთეს, რადგან არც პირველი (1921 წელი) და არც დღევანდელი ომისაგან მათ სასარგებლო არაფერი მიუღიათ. მხოლოდ სისხლი, მხოლოდ საფლავები და არაფერი ისეთი, რაც რაიმე ღირებულს შემატებდა მათ ერს, რომ არაფერი ეთქვათ ღირსების შელახვაზე. მაგრამ ამ ხალხის იმპერიის ჰიპნოზიდან გამოსვლას ათეული წლები სჭირდება. დრო კი არ ითმენს. მიუხედავად ქართველ-ოსთა შორის ასეთი მასშტაბის სისხლიანი დაპირისპირებისა, დღეს, რამდენადაც ჰარადოქსული არ უნდა იყოს ხელსაყრელი მომენტი დგას მათთვის იმის ასახსნელად თუ რა მოუტანა რუსეთის იმპერიული ამბიციების ერთგულებამ. მაგრამ ამის გამკეთებელი ქართულ ნაზოგადოებაში არავინ ჩანს. ფაქტიური ხელისუფლების მიერ იმ რეგიონში მივლინებულნი მღვრიე წყალში დიდი თევზის დაჭერით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე საქართველოს ინტერესებისათვის გარჯისათვის. არც ერთი მათგანი იმ რეგიონს მამა-პაპათა საფლავებით არ არის დაკავშირებული, ისევე როგორც ხელისუფლების ორგანოებში არ მოიძებნება შიდა ქართლის, კერძოდ ცხინვალის ქართველობის წარმომადგენლები. თუმცა ამას იქაური ქართველები მიჩვეულნი არიან. საქართველოს წითელი მთავრობების არც ერთი თაობა არ სწყალობდათ მათ. არ სწყალობენ დღესაც, ბატონი ნოდარ ნათაძის მოსწრებული თქმისა არ იყოს „გარემონტებული კომუნისტები“. თუ ვინმეს ალაპარაკებენ ცხინვალთა სახელით დღევანდელი ხელისუფლება ისიც ნამდვილ-ნათამეჯდომარალ-ნადირექტორალებს, რომელთა, როგორც პოლიტიკოსთა ავტორიტეტს, რბილად რომ ვთქვათ, გასავალი არა აქვს.

სისხლის წვიმების დროსაც, ცხინვალიდან დეპორტირებულ ქართველებს, რომლებმაც ათასგვარ ჭირთათმენას გაუძლეს, სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ოსებს, როგორც ხალხს საქართველოში უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლება, რაც ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებშია მიღებული. ქართველის თანასწორობის პრინციპი ოსთანაც უნდა იყოს დაცული და ყველა სხვა ერის წარმომადგენელთან, ვინც საქართველოში ცხოვრებას ისურვებს. პრივილეგიების, მით უმეტეს, პოლიტიკური პრივილეგიების და კიდევ მითუმეტეს იმ ხალხის მიმართ, ვინც ყოველთვის ბოროტად იყენებდა მას, დრო წარსულს უნდა ჩაბარდეს. შიდა ქართლელები ნებისმიერ ხელისუფლებასთან მწვავედ საკამათოდ გახდიან ოსთათვის რაიმე პოლიტიკური წარმონაქმნის დამკვიდრებას და ეს ლიტონ სიტყვებად ნურავის მოეჩვენება. საკუთარი სამკვიდროს დაკარგვის შიშის წინ უძლურია ძაღლებად გადაქცეული ადამიანებიც და ადამიანებზე დაგეშილი ძაღლებიც. ხოლო შთამომავლობა იმავე სახელით მოიხსენიებს ამ ბოროტების ჩამდენს, როგორც ჩვენ ვიხსენებთ დღეს მავანთა და მავანთ, ვისი ფეკალით გათხვრილი ბრინჯაოს ძეგლები აგერ გუშინ გავათრიეთ ისტორიის სანაგვეზე.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტი მიესალმება სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების გააქტიურებას ბანდიტური ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ შესაბამისი ორგანოების მოქმედება ამ მიმართულებით უნდა იყოს უფრო თანმიმდევრული და უფრო ყოვლისმომცველი.

საქართველოს სახალხო ფრონტი მიიჩნევს, რომ ზოგადად სამართალდამცავი ორგანოების პრესტიჟის და კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით აუცილებელია როგორც ახალი კადრების შერჩევაზე, ისე უკვე მომუშავე კონტინგენტის თანამდებობრივ შესაბამისობაზე დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი, რისთვისაც, ჩვენი აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ უნდა გაძლიეროს თავისი ძალისხმევა ამ მიმართულებით.

ამასთან, საქართველოს სახალხო ფრონტი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი მოქალაქეებისადმი მიყენებული ზარალის მასშტაბების და რეალურად მოსალოდნელი კატასტროფული შედეგების მიხედვით უპირველესი და გადაუდებელი სახელმწიფოებრივი ამოცანაა უკომპრომისო და დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლების უმაღლეს შეელონებში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება კორუმპირებული პირების გამოსავლენად, მიუხედავად მათი თანამდებობისა და პოლიტიკური სტატუსისა.

28.01.94

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

1994 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო ფრონტს მიზანშეწონილად მიაჩნია ჩატარდეს საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ახალი არჩევნები.

28.01.94

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ვახტანგ კომახიძე
ხათუნა კვესელავა
ჯემალ კასრაძე
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების
მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
5000 კუპონი